

## გამჭოლი კომპეტენცია სწავლის სწავლა და მისი განვითარების ერთ-ერთი სტრატეგია - მოსწავლეთა თვითშეფასება

ცირა ნიკოლაშვილი

განათლების მაგისტრი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქ.თბილისი 0128, ჭავჭავაძის გამზ. №1

### რეზიუმე

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აუცილებელია მოსწავლეთა შეფასების ორი ტიპის გამოყენება: მოსწავლეთა შეფასების და მოსწავლეთა თვითშეფასების. შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანაა გაითვალისწინოს ორივე მოთხოვნა და სასწავლო პროცესში ჩართოს მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტი.

სტატია ეხება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის მიერ საკუთარი შესაძლებლობების შეფასების მნიშვნელობას; ამ მიზნით თვითშეფასების სქემების გამოყენება წარმოჩენილია როგორც ერთ-ერთი საშუალება მოსწავლისათვის დამოუკიდებლად/ავტონომიურად სწავლის უნარის განვითარებისათვის. გარდა ამისა თვითშეფასების სქემების წარმოება მოსწავლეს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გაცნობიერებაში.

სტატიაში განხილულია თვითშეფასების სქემების გამოყენების მიზნები და დადებითი შედეგები; მოცემულია რეკომენდაციები თვითშეფასების სქემის შექმნისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** სწავლის სწავლა, მოსწავლეთა თვითშეფასება, თვითშეფასების სქემა

### შესავალი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ჩამოთვლილია უნარები და დამოკიდებულებები, რომლებსაც უნდა ფლობდეს მოზარდი ზოგადი განათლების მიღების შემდეგ. ერთ-ერთი მათგანია „საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარი.“ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ვკითხულობთ: „...სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.“

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც სწავლის სწავლა დასახელებულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციად. ტერმინში სწავლის სწავლა მოიაზრება საკუთარ სწავლის პროცესის რეფლექსიის და დაგეგმვის უნარები. დასახელებული უნარების განვითარება უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა დამოუკიდებლობას ახალი ცოდნის შეძენისას და დაეხმარება მათ თავიანთი შესაძლებლობების რეალისტურად განსაზღვრა-შეფასებაში. „...მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა შ ი,

*რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩენინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;*“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, VIII თავი, „თ“ პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, უცხოური ენის სტანდარტში, ყველა დონეზე, სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევ შედეგთა შორის გამოყოფილია მიმართულება სწავლის სწავლა და შემდეგი ქვემიმართულებები: სასწავლო საქმიანობის ორგანიზება, სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობა, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, არსებული რესურსების გამოყენება და ახლის შექმნა, კონსტრუქციული დამოკიდებულება დაბრკოლებების მიმართ, სხვადასხვა ხერხებისა და სტრატეგიები გამოყენება ლექსიკური მასალის ასათვისებლად, გასამტკიცებლად და გასამდიდრებლად.

სწავლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია მოსწავლის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის პირველ ეტაპზე ამ პროცესის ერთ–ერთი ინდიკატორია მოსწავლის მცდელობა შეავსოს თვითშეფასების მარტივი სქემები. შემდეგ დონეებზე თვითშეფასების სქემების გამოყენება უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, რაშიც იგულისხმება მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების გააზრება, გამოყენებული სასწავლო სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება, მიღწევების ადეკვატური შეფასება და ა.შ. სწავლის უნარ-ჩვევის გასავითარებლად ეროვნული სასწავლო გეგმით რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები: *„...კითხვარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გააცნობიერონ საკუთარი და ალტერნატიული მიდგომა კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას, სხვადასხვა შინაარსის თვითშეფასების სქემები, ფსიქოლოგიური ხასიათის ტესტები, სადაც გაიაზრებს სხვადასხვა ტიპის ფაქტორს, რომელიც დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე და სხვა.“* (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XXIV, ზოგადი ნაწილი, „ე“ პუნქტი, სწავლის სწავლა).

### **თვითშეფასების სქემები**

თვითშეფასების სქემების/კითხვარების პრაქტიკაში გამოყენებას, ერთი მხრივ, წვლილი შეაქვს მოსწავლისათვის თვითგანსაზღვრისა და დამოუკიდებლობის უნარის განვითარებაში, მეორე მხრივ, მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრასა და საჭიროებების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში.

თვითშეფასების სქემების გამოყენება რეკომენდებულია სწავლების ყველა საფეხურზე. მნიშვნელოვანია, რომ სქემები მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი იყოს; დაწყებითი სკოლის მოსწავლისთვის სახალისო სიმბოლოებითა და ორი-სამი რუბრიკით შემოფარგლული, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე შედარებით კომპლექსური.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთათვის შეთავაზებული კითხვარებისა და თვითშეფასების სქემების თემატიკა შეიძლება იყოს: ა) ცოდნის

ფლობის თვითშეფასება ბ) სოციალური უნარების თვითშეფასება გ) სწავლის სტრატეგიების გამოყენების თვითშეფასება; მაგალითისთვის, მასწავლებელმა მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის შეიძლება მოსწავლეებს სთხოვოს ასეთი კითხვარის/სქემის შევსება:

- ✓ ამ საგანში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა \_\_\_\_\_
- ✓ მინდა უკეთესად ვიცოდე \_\_\_\_\_
- ✓ მინდა მეტი ვიცოდე \_\_\_\_\_
- ✓ შემიძლია \_\_\_\_\_
- ✓ მინდა შემეძლოს \_\_\_\_\_
- ✓ ინტერესით ვარ ჩართული გაკვეთილზე, როდესაც \_\_\_\_\_
- ✓ როდესაც უყურადღებოდ ვარ, უმეტესად ამის მიზეზი არის \_\_\_\_\_
- ✓ მომწონს ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობა, რადგან \_\_\_\_\_
- ✓ ჯგუფური მუშაობის დროს დაბრკოლებას მიქმნის \_\_\_\_\_
- ✓ როდესაც რომელიმე სიტყვა ახალია, მაშინ \_\_\_\_\_
- ✓ როდესაც დავალების პირობა გაუგებარია, მაშინ \_\_\_\_\_

თვითშეფასების სქემები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი მისწრაფებების, სასწავლო ინტერესებისა და ქცევების გაცნობიერებაში ეხმარება, მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს გაიცნოს მოსწავლე უკეთ, გაანალიზოს მისი ინდივიდუალური თავისებურებები, შესაძლებლობები და ინტერესები, გამოკვეთოს საჭიროებები. მონაცემთა ანალიზი მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში.

მასწავლებელს შეუძლია თვითშეფასების კითხვარები მოსწავლეთა სოციალური უნარების შესამოწმებლად/სადიაგნოსტიკოდაც გამოიყენოს. ამ გზით ის დაადგენს მოწავლეთა საჭიროებებს და დაგეგმავს შემდგომ მოქმედებებს. (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010: 218)

ქვემოთ მოცემულია სოციალური უნარების შესაფასებელი კითხვარის ნიმუში:

სოციალური უნარების თვითშეფასების კითხვარი

	უმეტესად	ზოგჯერ	არასოდეს
დახმარებას ვთავაზობ კლასელს როდესაც ვხედავ, რომ დახმარება სჭირდება.			
როდესაც დახმარება მჭირდება, თხოვნით მივმართავ კლასელს.			
ბოდიშს ვიხდი, როდესაც არასწორად ვიქცევი.			
ვუსმენ, როდესაც სხვა საუბრობს.			

ვამხნევებ ადამიანს, როდესაც ვხედავ, რომ მოწყენილია.			
---	--	--	--

ცოდნისა და სწავლის სტრატეგიების შეფასების სქემებში სასწავლო მიზნების მოსწავლისათვის გასაგები ფორმით დაკონკრეტება ეხმარება მოსწავლეს მის წინაშე არსებული სასწავლო ამოცანების გაცნობიერებაში. ამით მოსწავლეს ეძლევა საშუალება დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, აკონტროლოს საკუთარი პროგრესი. ეს ზრდის მის თავდაჯერებულობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას; ასევე, აცნობიერებს შეფასების კრიტერიუმებს, გეგმავს სწავლას დამოუკიდებლად. მასწავლებელს თვითშეფასების სქემების გამოყენება საშუალებას აძლევს სასწავლო მიზნები მოსწავლისათვის გამჭვირვალე გახადოს და სასწავლო გეგმა (Lehrplan) სწავლის გეგმად (Lernplan) აქციოს. (Autonomes Lernen, 1996 : 17)

მონაცემები, რომელსაც თვითშეფასების სქემები გვაწვდის მოსწავლის დამოკიდებულების შესახებ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, შეიძლება იყოს სანდო ან ნაკლებად სანდო. მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების მონაცემები სანდოა, როდესაც შეფასების რუბრიკა/შეფასების ობიექტი (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება) კონკრეტულია/მკაფიოდ არის განსაზღვრული; ენობრივი თვალსაზრისით გასაგებად არის ფორმულირებული და არ არის გამოყენებული საგნობრივი ტერმინები; აგრეთვე, როდესაც მოსწავლეებისათვის შეფასების კრიტერიუმები კარგად ნაცნობია, რაც მიიღწევა კრიტერიუმების ერთობლივი შემუშავებით. თვითშეფასება ნაკლებად სანდოა, როდესაც ზოგადი და ფართო შინაარსის ცოდნა ან ჩვევა ფასდება; ასევე, როდესაც თვითშეფასების მონაცემები გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რაც მოსწავლისათვის გულწრფელობას წამგებიანს გახდის. (Autonomes Lernen, 1996 : 16)

### რეკომენდაციები თვითშეფასების სქემის შესადგენად

თვითშეფასების სქემებში მოსწავლეებისთვის შედეგების სახით არის ფორმულირებული სწავლის მიზნები; ამიტომ რუბრიკების შექმნისას უნდა გამოიყენებოდეს დაკვირვებადი და გაზომვადი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: *ჩამოწერა, არჩევა, პასუხის გაცემა, დასახელება, დიფერენცირება, ესკიზის გაკეთება, ახსნა, განსაზღვრა, იდენტიფიცირება, კლასიფიცირება, კონსტრუირება, გადაწყვეტა/გადაჭრა, მოწესრიგება/დაჯგუფება, წერა, მონახაზის გაკეთება, დაკავშირება, მოხსენების გაკეთება, ხატვა/ხაზვა, მიკუთვნება*; [Bimmel P. 2003: 150] შედეგად, თვითშეფასების ობიექტი (ცოდნა/უნარი) დაკონკრეტებულია და ინტერპრეტაციას გამორიცხავს. მაგალითად, რუბრიკა შემიძლია მთავარი წინადადება დავაკავშირო დამოკიდებულ წინადადებასთან არის ერთმნიშვნელოვანი, დაკვირვებადი და გაზომვადი.

გრიფირებულ სახელმძღვანელოებში თითოეული თემის ბოლოს მოცემულია თვითშეფასების სქემები. მათი გამოყენება მასწავლებელს ეფექტურად შეუძლია. თუმცა კონკრეტულ კლასებში და კონკრეტულ მოსწავლეებთან წარმოიშვება განსხვავებული საჭიროებები. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა შექმნას საჭიროების/საჭიროებების შესაბამისი თვითშეფასების სქემა, რა დროსაც მნიშვნელოვანია შემდეგი ეტაპები:

1. მოსწავლის/მოსწავლეთა შესაძლებლობების კვლევა და საჭიროებათა განსაზღვრა; მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის/მოსწავლეთა წერით/ზეპირ აქტივობებს და განსაზღვრავს, რა არის გასაუმჯობესებელი.
2. გასაუმჯობესებელი მხარეების კრიტერიუმების სახით ფორმულირება. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ რუბრიკა იყოს წართქმითი ფორმით ჩამოყალიბებული და კონკრეტულად აღწერდეს ქცევას, რისი შეფასებაც მიზნად დავისახეთ.
3. კრიტერიუმების მიღწევის დონეების განსაზღვრა; კონკრეტული კრიტერიუმი შესრულების ხარისხი ან რაოდენობა; მაგალითად, *კარგად, საშუალოდ, არც ისე კარგად; ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს*;
4. უმჯობესია, თუ სქემის შედგენაში მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას. ასეთ დროს ისინი უფრო მონდომებით და ყურადღებით ასრულებენ დავალებას, რომელიც თვითონ უნდა შეაფასონ, რადგან ორიენტირებულები არიან შესრულების მაღალ ხარისხზე;
5. თვითშეფასების სქემის შევსების შემდეგ მნიშვნელოვანია მასწავლებლის დროული უკუკავშირი. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ადეკვატურია თუ არა მოსწავლის თვითშეფასება; შესაძლოა მოსწავლე ზედმეტად კრიტიკული იყოს ან აჩვენებდეს რეალურ შესაძლებლობებზე მაღალ შეფასებას.

### თვითშეფასების სქემის გამოყენებისათვის

შესაძლოა მოსწავლე, რომელსაც აქვს დაბალი აკადემიური მოსწრება და ნაკლებად განვითარებული სოციალური უნარ-ჩვევები, საწყის ეტაპზე დაითრგუნოს, რადგან მოსალოდნელია რომ ის უმეტეს შემთხვევაში დაბალ შეფასებას დააფიქსირებს. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა მოსწავლეს განუმარტოს, რომ წინსვლისთვის აუცილებელია ჯერ სამიზნე ქცევებისა და უკეთ შესასწავლი საკითხების იდენტიფიკაცია/ობიექტივაცია შეძლოს.

ის ფაქტი, რომ მოსწავლეს საკუთარ შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება უჭირს, არ უნდა იყოს თვითშეფასების სქემების გამოყენებლობის მიზეზი; მასწავლებელს შეუძლია უკუკავშირის დახმარებით იზრუნოს მოსწავლის ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებაზე. მასწავლებლის ჩართულობა და ინიციატივა მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისა და ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებისათვის.

ადეკვატური თვითშეფასების განვითარებისათვის ეფექტიანია შემდეგი აქტივობები:

მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა შეაფასონ საკუთარი ნაშრომები შეფასების სქემების გამოყენებით. ამ დროს მოსწავლე შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეფასებისა და შეცდომების აღმოჩენა/გასწორების დროს, გაააცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს; გარდა ამისა, მას განუვითარდება ავტონომიურობისა და თვითკონტროლის უნარი; ამ პროცესში მოსწავლე უკეთ გაიაზრებს/გაააცნობიერებს მის წინაშე არსებულ სასწავლო მიზნებს/გამოწვევებს და დაგეგმავს მოქმედებებს შემდგომი სწავლისათვის.

საკუთარი ნაშრომის შეფასების გარდა ეფექტიანია მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების შეფასება კრიტერიუმებზე დაყრდნობით. აქტივობა შედეგიანია, რადგან

*„მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ აკადემიურ მიღწევებს რაიმე აბსოლუტურ სტანდარტს კი არ ადარებენ, არამედ იმ მოსწავლეებისას, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სკოლაში.“*  
(ეფექტიანი სწავლება, 2010: 255)

ამ სტრატეგიების გამოყენებამდე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს განუმარტოს მათ მიერ საკუთარი სასწავლო აქტივობების მონიტორინგისა და კრიტიკული განსჯის შედეგიანობა და ამის შემდეგ განსაზღვრული პერიოდულობით გამოიყენოს განხილული სტრატეგიები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011
3. გამოცდების ეროვნული ცენტრი, ეფექტიანი სწავლება, 2010, 321გვ.;
4. დალაქიშვილი ნ., თვითშეფასების გავლენა მოსწავლეთა წარმატებებზე, თბილისი, განათლ. და მეცნ. სამინ., ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2009. - 80გვ.;
5. Bimmel P. Kast B. Neuner G. Deutschunterricht planen, München, Langenscheidt, 2003, 176 გვ.;
6. Schneider G. North B., "In anderen Sprachen kann ich" Skalen zur Beschreibung, Beurteilung und Selbseinschätzung der fremdsprachlichen Kommunikationsfähigkeit", 1999, 47გვ.;

---

Article received: 2012-12-27